ა მ ო ნ ა წ ე რ ი

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 სექტემბრის სხდომის

N35 ოქმიდან

I. „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად, დოკუმენტი - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2023-2026 წლებისათვის“, საქართველოს მთავრობის მოხსენება - „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“, წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს მთავრობის განკარგულებების პროექტები: „გ. კაკაურიძის საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქართველოს კანონის პროექტზე - „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, დოკუმენტზე - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2023-2026 წლებისათვის“, საქართველოს მთავრობის მოხსენებაზე - „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ და წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საქართველოს კანონების პროექტებზე მომხსენებლად დანიშვნის შესახებ“ და „საქართველოს პარლამენტისთვის თავდაცვის ძალების რაოდენობის დასამტკიცებლად წარდგენისა და აღნიშნულ საკითხზე მომხსენებლად დანიშვნის შესახებ“ (მომხსენებლები: საქართველოს ფინანსთა მინისტრი ლ.ხუციშვილი და საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გ.გიორგაძე)

---

1. მოწონებულ იქნეს „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად, დოკუმენტი - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2023-2026 წლებისათვის“, საქართველოს მთავრობის მოხსენება - „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ და წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და წარედგინოს საქართველოს პარლამენტს განსახილველად.

2. მიღებულ იქნას წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის განკარგულებების პროექტები.

საქართველოს პრემიერ–მინისტრი ი.ღარიბაშვილი

საქართველოს მთავრობის
ადმინისტრაციის უფროსი რ.ჯაველიძე